განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ნანა შარაბიძე

**წევრები:**

რუსუდან თედორაძე

იაზონ დანელია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **222934671**

სახე: **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება /კოლეჯი**

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №495(19.06.2019წ) ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. რუსუდან თედორაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)
3. იაზონ დანელია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ-პროფესიული კოლეჯის „ერქვანი“ პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების პერიოდი განისაზღვრა 2019წლის 3-5 ივლისი.

ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეიმუშავა დაწესებულებაში განსახორციელებელი ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის მიხედვით 2019 წლის 3-5 ივლისს განახორციელა ვიზიტი სსიპ-პროფესიულ კოლეჯში „ერქვანი“, მის. ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ.№10.

ვიზიტის სამივე დღეს ჯგუფმა დღის წესრიგის მიხედვით იმოქმედა და განახორციელა დაგეგმილი აქტივობები. კერძოდ: პირველ დღეს ვიზიტი დაიწყო გაცნობითი შეხვედრით კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის მენეჯერთან და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან, ასევე შევხვდით პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ პერსონალს.

მეორე დღეს განვახორციელეთ საგანმანათლებლო და დამხმარე ფართის დათვალიერება, გადავამოწმეთ ფართების ადაპტირების პირობები, აღვწერეთ მატერიალური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. გავესაუბრეთ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და ხარისხის მენეჯერს.

მესამე დღეს ვიზიტები განვახორციელეთ პრაქტიკის ობიექტზე, გავესაუბრეთ პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს. ამავე დღეს გადავამოწმეთ საბიბლიოთეკო სივრცე და საქმის წარმოების წესი.

ვიზიტის ბოლოს მოხდა შემაჯამებელი შეხვედრა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, რომლის დროსაც მათ გავაცანით ვიზიტის წინასწარი შედეგები, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით №122/ნ(19.06.2019წ) დამტკიცდა სსიპ-კოლეჯ „ერქვანის“ წესდება. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დაევალა ყველა სტრუქტურული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. შარაბიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ერთეულის ხელმძღვანელებს დროულად ასახონ მარეგულირებელ დოკუმენტებში დაწესებულების სახელწოდების ცვლილება. ვიზიტის მომენტისთვის ყველა ცვლილება განხორციელებული არ იყო, ამიტომ მიეცათ რეკომენდაცია დროულად განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები.

*მონაცემები ავტორიზაციის ვიზიტის დროს ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით*

| **მდგომარეობა** (ახალი/ არსებული) | **სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა** | **შენობა-ნაგებობების ფართი** | **მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში) |
|---|---|---|---|---|---|
| არსებული | 41 | 3 | 17 | 1225,03კვ.მ | ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ.№10 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------
----------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________________

____________________

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | | | |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებად შეგვიძლია განვიხილოთ კოლეჯში არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც კოლეჯის ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტებს საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის მთელი სასწავლო პროცესის პერიოდში დროებით სარგებლობაში სთავაზობს ლეპტოპებს. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მიღება ჩაბარების აქტით პროფესიული სტუდენტი აბრუნებს ლეპტოპს. იმის გათვალისწინებით, რომ უმეტესობა პროფესიული სტუდენტებისა მაღალმთიანი რეგიონის სოფლებიდან არიან, მაშინ ეს ინიციატივა მეტად მნიშვნელოვანია.*
*ასევე საინტერესო პრაქტიკაა, ის რომ დაწესებულებაში, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, შექმნილია ე.წ. PR-ჯგუფი, რომელიც ვებ გვერდზე განსათავსებელი მასალების მომზადებას უზრუნველყოფს. ჯგუფში შედიან სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები და რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.*

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*ვიზიტის პერიოდში ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა) არ გამოვლენილა.*

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

**1. რეკომენდაცია მიეცათ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დროს მკაცრად დაიცვან სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რეგულაცია პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურის შესახებ (1.1);**
**2. რეკომენდაცია მიეცათ ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული მასწავლებლებმა გაიარონ CISCO ავტორიზებულ აკადემიაში ინსტრუქტორის გადამზადების კურსი (3.2);**
**3. რეკომენდაცია მიეცათ დაწესებულებამ დროულად განახორციელოს ყველა ცვლილება ახლადდამტკიცებული წესდებით განსაზღვრული სტატუსის და სახელწოდების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## VII. დაწესებულების მისია

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს მისიაა - შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, ბენეფიციარებს, მათი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით და ასაკის შეუზღუდავად, მისცეს შესაძლებლობა, დაეუფლონ ახალ პროფესიას, შეიცვალონ პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია პრინციპით: პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე დასაქმებისათვის და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## სტანდარტების შეფასება

# 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სსიპ-პროფესიული კოლეჯის „ერქვანი" დირექტორის მიერ დამტკიცებული სამი საგანმანათლებლო პროგრამა. კერძოდ:
1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა"**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა" შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 07313-პ) „ელექტროობა - Electricity" საფუძველზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity.
პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება დაბალი ძაბვის ელექტროობაში. პროგრამის მოცულობა კრედიტებში: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 52 კრედიტია (მათ შორის საერთო პროფესიული მოდულია 4, ჯამურად 14 კრედიტი, ზოგადი მოდულია 4, ჯამურად 10 კრედიტი და სავალდებულო პროფესიული მოდულია 6, ჯამურად 28 კრედიტის ოდენობით); არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოდულის „ ქართული ენა A2" (15 კრ.) დამატებით - 67 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისად: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 41 კვირა (10 თვე); არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 61 კვირა (14 თვე).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა" დამტკიცებულია 2018 წლის 11 ივლისს, ბრძანება №54 „ო". პროგრამაში განხორციელებულია შესწორებები: ბრძანება №58„ო" (18.07.2018წ.); ბრძანება №96 „ო" (28.12.2018წ.); ბრძანება №18 „ო" (19.04.2019წ.), ბრძანება №27 „ო"(24.05.2019წ).

*საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის წესი გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი20,პუნქტი3),რომელიც განმარტავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემდგომ, მასში ბრძანებით ხორციელდება ცვლილებების შეტანა და არა ხელახლა პროგრამის დამტკიცება. საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა" დამტკიცების(ბრძანება №58„ო" (18.07.2018წ.)) და შემდგომ მასში ცვლილებების (ოთხჯერ) შეტანის დროს ერთ შემთხვევაში (ბრძანება №27 „ო"(24.05.2019წ)) არ იხელმძღვანელეს ამ წესით და ცვლილებები განახორციელეს არა თავდაპირველად დამტკიცებულ პროგრამაში, არამედ წინა ცვლილებების განხორციელების ბრძანებაში. დანარჩენ სამ შემთხვევაში ეს წესი დაცულია. ამიტომ რეკომენდაცია მიეცათ შესწორება შეიტანონ ცვლილების განხორციელების ბრძანებაში და შემდგომშიც იხელმძღვანელონ დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.*

2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა"**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა" შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი 04114-პ) - ბუღალტრული აღრიცხვა / Accounting -ის საფუძველზე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია -უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კვალიფიციური ბუღალტერის მომზადება, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში;

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი, რომელთაგან: ზოგადი მოდულია 3, ჯამური 11 კრედიტის ოდენობით და პოფესიული მოდულია 16, ჯამური 88 კრედიტის ოდენობით.

მოდულების ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების

მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით" შესაბამისად:

ქართულენოვანებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა არის 99 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 79 კვირა (20 თვე), არაქართულენოვანებისათვის 129კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 99 კვირა (25 თვე).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად ადაპტირებული პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა" დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ერქვანი" დირექტორის მიერ (ბრძანება№26, 24 მაისი 2019 წელი.)

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა"**

პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია/Information Technology" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 06112-პ,). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support. კოდი - 0612

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 60 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, პროფესიული მოდულების - 44 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს (16 კრედიტის მოცულობით) და 8 პროფესიულ მოდულს (44 კრედიტის მოცულობით).

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 50 კვირას (12 თვე).

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 75 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 70 კვირა (17 თვე).

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიული სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*(ქალაქი, წელი)*

მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, პროგრამის განხორციელების გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვან სტუდენტებისათვის ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ელექტროობა" ხილის გადამამუშავებელ საწარმო შპს „გეო-ფლაუერ"-თან, მემორანდუმის საგანია გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სტუდენტთა ხელშეწყობა მომავალი პროფესიის სპეციფიკის გაცნობაში.

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა" და „ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა" გაცნობითი პრაქტიკის გავლა იგეგმება კოლეჯის ბაზაზე.

საწარმოო პრაქტიკის გავლის წესი და პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (თავიIII, მუხლი35-42).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ხილის გადამამუშავებელ საწარმო შპს „გეო-ფლაუერ"-თან გაფორმებული მემორანდუმით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია 2019 წლის კატალოგი, რომელშიც მოცემულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და სრული ინფორმაცია მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ შესახებ, რომელზედაც ამჟამად ხორციელდება სწავლება. წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შეფასების წესის შესახებ. კატალოგი შევსებულია ფოტო-მასალით.

კატალოგში ანონსის სახით შესულია ინფორმაცია (სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია) იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას ავტორიზაციის შედეგად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

➢ კოლეჯის ვებ-გვერდზე ergvaniprof.ge გამოქვეყნებული კატალოგით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ რა ეცოდინება, რისი გაკეთება შეეძლება და რა ფასეულობებს შეიძენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

➢ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომელიც შედგება 4 თავისა და 42 მუხლისაგან და რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხლი 3), შეჩერების (მუხლი 14), შეწყვეტის (მუხლი 15), გარე და შიდა მობილობის (მუხლი 16,17) და მიღებული განათლების აღიარების (მუხლი 18,18[1]) წესები.

*<u>საანგარიშო პერიოდში (2014-2019წ.) განხორციელდა</u> პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის სამი შემთხვევა, რომლის საფუძველი სამივე შემთხვევაში არის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მუხლი 15-ის პუნქტი1. ა)სტუდენტის განცხადებით დადასტურებული სურვილი სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით.*

*სამივე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემულია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ბრძანება, კოლეჯის საქმის წარმოების წესის შესაბამისად და აღნიშნული დოკუმენტები ინახება კოლეჯის საქმეთა მწარმოებელთან.*

*საანგარიშო პერიოდში სტუდენტის სტატუსის შეჩერების, მობილობის და მიღებული განათლების აღიარების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

➢ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

➢ დირექტორის ბრძანებები სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ

შეფასება:

---



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

*(ქალაქი, წელი)*

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც შედგება 4 თავისა და 42 მუხლისაგან და რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, პროგრამის პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი (მუხლი 19). აღნიშნული წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისთვის შესაძლო ვარიანტებს პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კერძოდ მას შეუძლია გადავიდეს კოლეჯის სხვა მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე ან აირჩიოს სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები.

აღნიშნული მიზნებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები:

1. კოლეჯთან „ოპიზარი“ 2017 წლის 15 აგვისტოს გაფორმებული მემორანდუმი;
2. კოლეჯთან „იბერია“ 2016 წლის 14 ივნისს გაფორმებული მემორანდუმი;
3. კოლეჯთან „მერმისი“2017 წლის 26 აპრილს გაფორმებული მემორანდუმი;
4. საზოგადოებრივ კოლეჯთან „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ 2018 წლის 12 თებერვალს გაფორმებული მემორანდუმი;
5. კოლეჯთან „პრესტიჟი“ 2019 წლის 01 აპრილს გაფორმებული მემორანდუმი.

*<u>საანგარიშო პერიოდში (2014-2019წ.)</u> დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად არც ამ მექამიზმების ამოქმედებას არ ქონია ადგილი.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- კოლეჯებთან გაფორმებული მემორანდუმებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________

______________

*(ქალაქი, წელი)*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და განვითარება.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები დაწესებულებას გაწერილი აქვს დებულებაში - თავი 6.
დაწესებულებას ყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის ფუნქციები გაწერილია კოლეჯში დასაქმებულთა სტრუქტურაში და თანამდებობრივ ინსტრუქციაში. მენეჯერი ექვემდებარება დირექტორს და დირექტორის მოადგილეს.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმს და დაფუძნებულია სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ასევე გამოიყენება მეცადინეობებზე და შეფასების პროცესზე დასწრების ოქმები. კითხვარების და ოქმების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს ანგარიშის სახით.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს, კერძოდ: მეცადინეობებზე დასწრების ოქმებს, სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვის კითხვარებს, ასევე პოტენციურ დამსაქმებლების გამოკითხვის კითხვარებს. კითხვარების ანლიზის შედეგების საფუძველზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

ხარისხის მართვის მენეჯერის შედგენილ სამსახურეობრივ ბარათებს დირექტორის სახელზე და შემდგომი რეაგირების მიზნით გამოცემულ შესაბამის განკარგულებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესით;
- სხვადასხვა სახის გამოკითხვების შევსებული კითხვარებით;
- ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ.№10 | 1225,03კვ.მ;<br>მ.შ განაშენიანების ფართი 504,00კვ.მ |
| 1.1 | I - სართული | 457,81კვ.მ |
| 1.2 | II-სართული | 408,414კვ.მ |
| 1.3 | სარდაფი | 358,802კვ.მ |
| 1.4 | საქვაბე | 30კვ.მ |

დაწესებულება ფლობს სახელმწიფოსგან სარგებლობის უფლებით გადმოცემულ მიწის ნაკვეთს(5480კვ.მ), მასზე განთავსებული ორსართულიანი შენობით (საერთო ფართი 1225,03კვ.მ) და ცალკე მდგომი საქვაბით (30კვ.მ)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ➢ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

წარმოდგენილი სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულება ფლობს ყველა საჭირო რესურსს კოლეჯის პირველ სართულზე. სამივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილია შესაბამისად სამი სასწავლო აუდიტორია (A-B გარემო) და ერთი სასწავლო აუდიტორია (C გარემო) ელექტროობის პროგრამისთვის. ყველა აუდიტორიის მატერიალური აღჭურვილობა სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. დაწესებულებას მლობელობაში აქვს ასევე 83 ერთეული ლეპტოპი და 58 სტაციონალური კომპიუტერი, მათ შორის - 21 ადმინისტრაციული და პედაგოგიური, ხოლო დანარჩენი სასწავლო მიზნებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

შეფასება:
■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯში არის საგანმანათლებლოპროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

ა) ელექტროენერგიის უწყვეტი სისტემა
ბ) ცენტრალური წყალმომარაგება
გ) ცენტრალური გათბობის და გაგრილების სისტემა
დ) სველი წერტილები
ე) შენობა არის მინის კონსტრუქციის, რაც ბუნებრივი განათების და გათბობის შესაძლებლობას იძლევა.
დასტურდება:

- 30/06/2014წ გაფორმებული N517-1/2-14 ხელშეკრულებით ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“- სთან ელექტრო ენერგიის მოწოდების შესახებ;
- 01/07/2014წ გაფორმებული N3/25 ხელშეკრულებით შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთან სასმელი წყლის მოწოდებასთან დაკავშირებით;
- 01/01/2019 წ გაფორმებული N 1 ხელშეკრულებით შ.პ.ს „სოკარ ჯორჯია გაზი“-სთან ბუნებრივი აირის (გაზის)მოწოდებასთან დაკავშირებით;
- კოლეჯის შენობის ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:
☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სსიპ პროფესიულ კოლეჯ ერქვანში ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილია ოთახი, სადაც განლაგებულია მაგიდები, ინტერნეტში ჩართული 4 პერონალური კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის და მომხმარებელთათვის, წიგნების კარადები, კატალოგი (მყარი და ელექტრონული). საბიბლიოთეკო მომსახურებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი; შემუშავებულია და დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკაში მოქცევისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელიც თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი და ფილმოთეკა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებით გათვალისწინებულ ლიტერატურას. ინვენტარიზაციის წიგნში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------

ვიზიტის დროს დაფიქსირდა 1030 ერთეული წიგნი და 19 CD-R დისკი, რომლებიც დამუშავებულია საბიბლოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არის ბუნებრივი განათება. ბიბლიოთეკის ცალკე ოთახი ეთმობა არქივს, რომელის წარმოებასაც ითავსებს ბიბლოთეკარი.

**დასტურდება:**

- ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნით;
- ბიბლიოთეკის კატალოგებით;
- სსიპ პროფესიული კოლეჯი ერქვანი ბიბლიოთეკის დებულებით, დამტკიცებული #9 „ო" 12 თებერვალი 2018წ.
- სასაქონლო ზედნადებები;
- ნაჩუქრობის აქტები;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის „ერქვანი" დირექტორის ბრძანებით #19,10.03. 2014 წ. ბიბლიოთეკარ/არქივარიუსის დანიშვნის შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ვებ–გვერდით www.erqvaniprof.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯი სრულად არის აღჭურვილი საჭირო კომპიუტერული ტექნიკით საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად, კერძოდ დაწესებულების მფლობელობაშია 83 ერთეული ლეპტოპი და 58 სტაციონალური კომპიუტერი, მათ შორის - 21 ადმინისტრაციული და პედაგოგიური, ხოლო დანარჩენი სასწავლო მიზნებისთვის. *სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით დაწესებულებამ დაამკვიდრა ლეპტოპების პროფესიულ სტუდენტებზე განათხოვრების პრაქტიკა, რაც აღნიშნულია საუკეთესო გამოცდილებაში.*

კოლეჯი ჩართულია ინტერნეტქსელში, ხელმისაწვდომია როგორც სადენიანი, ასევე უსადენო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ჯახაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ინტერნეტი. კოლეჯი ჩართულია წერილების მიმოცვლის ერთიან ელექტრონულ "eflow"

სისტემაში.

დასტურდება:

- ➢ სს. სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულება N2 13/02/2019წ ინტერნეტმომსახურეობის შესახებ
- ➢ CISCO - როუტერის შეძენის მიღება - ჩაბარების აქტი. 2014 წლის 26 თებერვლის N 5 ხელშეკრულება (შპს allmarket.ge როუტერის შეძენა)
- ➢ წერილებისა და დოკუმენტაციის აღრიცხვის "eflow" სისტემა;
- ➢ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი კომპიუტერული ტექნიკის გადმოცემის შეახებ.
- ➢ წლის 12/10-ს N1; 2014წლის 16/06-ს N2 და 2015წლის 12 -01-ს N3 მიღება-ჩაბარების აქტები)
- ➢ 2017/03/16 წ გაფორმებული ხელშეკრულება #01/26 ბრძანებით სს „სილქნეტ"-თან გაფორმებული ხელშეკრულება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების სააბონენტო ხელშეკრულება (ინტერნეტი)
- ➢ 2019/02/13 წ გაფორმებული ხელშეკრულება შპს „მაგთიკომ"-თან ვებ-ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ.
- ➢ 2019/05/31 წ გაფორმებული ხელშეკრულება #17 შპს „სერვ.ჯი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულება დომენული სახელ(ებ)ის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

შეფასება:

■ სტანდარტი არ არის დარღვეული

☐ სტანდარტი დარღვეულია

**3.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯი ჩართულია წერილების მიმოცვლის ელექტრონულ ,,eflow" სისტემაში, ამასთანავე

კოლეჯში გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციების მატერიალური სახით აღრიცხვისათვის გამოყენებულია შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ ბრძანებები ,, ს " რეგისტრაციის წიგნი ფაილური სისტემით N1.
- ✓ ბრძანებები ,, ო " რეგისტრაციის წიგნი ფაილური სისტემით N2.
- ✓ ბრძანებები ,, მ „ რეგისტრაციის წიგნი ფაილური სისტემით N3.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*(ქალაქი, წელი)*

- ✓ ბრძანებები ,, კ „ რეგისტრაციის წიგნი ფაილური სისტემით N4
- ✓ რაიონს გარეთ და ადგილობრივად გასული წერილები N5.
- ✓ რაიონს გარედან და ადგილობრივად შემოსული წერილები N7.
- ✓ მოქალაქეთა განცხადებების და საჩივრების რეგისტრაციის წიგნი N7.
- ✓ სამეთვალყურეო საბჭოს ოქმები N8.
- ✓ კონტინგენტის მიმღები კომისიის სხდომის ოქმები N9.
- ✓ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და აღრიცხვის ტაბელი N10.
- ✓ მოდულების და საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების უწყისების რეესტრი N11
- ✓ თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები.
- ✓ დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემის აღრიცხვის ჟურნალი N19/2.
- ✓ დიპლომების მიღებისა და ხარჯვის აღრიცხვის ჟურნალი N20/3.

დასტურდება:

➢ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვის №13 „ო“ ბრძანება,სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ,,2019-წელში გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციების აღრიცხვის დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

➢ დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის სასწავლო კორპუსი (ვაჟა-ფშაველას ქ.N10), ხანძრის ან სხვა ექსტრემალურ შემთხვევისათვის აღჭურვილია:
საევაკუაციო დამხმარე კიბით, ერთი ძირითადი და ორი სარეზერვო გასასვლელით, კოლეჯის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------
---------------------

*(ქალაქი, წელი)*

ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სამედიცინო დახმარების მიზნით კოლეჯში არის თანამედროვე სამედიცინო ინვენტარით და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს და ყავს კვალიფიციური მედდა. კოლეჯში წესრიგის დაცვას სასწავლო პერიოდში ახორციელებს მორიგე მასწავლებელი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფი. კოლეჯის ქონების დაცვას ახორციელებს სამი დარაჯი 24 საათიან სამუშაო რეჟიმში.
ვიზიტის დროს გადამოწმებულ იქნა ცეცხლმაქრების და მედიკამენტების ვარგისიანობის ვადები, მოხდა მედდასთან და კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან გასაუბრება.
დასტურდება:

- შენობა -ნაგებობის საკადასტრო ნახაზით;
- შსს სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმით;
- კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 30 ივნისის №75ბრძანებით „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგით;
- ცეცხლმაქრის ( ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის) მიღება-ჩაბარების აქტით;
- დამტკიცებული საშტატო განრიგი და პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- 2018 წლის 29 მარტის N 15 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფით;
- კოლეჯის დარაჯებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- შენობის ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:
■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას გეგმავს შენობის პირველ სართულზე, სადაც განლაგებულია სამივე პროგრამის AB გარემო და საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

(ქალაქი, წელი)

პროგრამის „ელექტროობა“ C გარემო, ასევე ბიბლიოთეკა, მედპუნქტი, ბუფეტი და სველი წერტილები. აღნიშნული სივრცეები სრულადაა ადაპტირებული. შენობის კიბის კონსტრუქცია არ იძლევა შესაძლებლობას მასზე დამონტაჟდეს პანდუსი, ამიტომ ამ ეტაპზე შენობის მეორე სართული, სადაც განთავსებულია კოლეჯის ადმინისტრაცია და სასწავლო აუდიტორიების ნაწილი, ადაპტირებული არ არის. დაწესებულების ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ([redacted] შენობის მეორე სართულზე წვდომის მიზნით ლიფტის მოწყობის თაობაზე. აღნიშნული სააგენტოს წარმომადგენლებმა უკვე შეადგინეს დეფექტური აქტი, ხარჯთაღრიცხვა და პროექტი, რომლის ღირებულება შეადგენს 75745,73 ლარს და წარმოადგინა 2019 წლის 12 ივნისს გაგზავნილი წერილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გამოყოფის შესახებ.
*(დასკვნას თან ერთვის)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შენობის ვიზუალური დათვალიერებით;
- კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.

შეფასება:
☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი - erqvaniprof.ge , რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და მასში განთავსებულია დაწესებულების მისია, ისტორია, განვითარების სტრატეგია, დაწესებულების სტრუქტურა, პარტნიორები. საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია - კატალოგი და საგანმანათლებლო პროგრამა, საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოიცავს: - დაწესებულების წესდებას, შიდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

ნორმატიულ დოკუმენტებს (უსაფრთხოება, უტილიზაცია, სამედიცინო დახმარება; ბიბლიოთეკით სარგებლობა; ინფორმაციის გავრცელება-მიწოდების წესი; არქივის წარმოების დებულება; სტრატეგიული გეგმის შემუშავების და მონიტორინგის წესი;ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი; პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და სხვ.), სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, შინაგანაწესს და კანონებს (მინისტრის ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები, კანონი პროფესიული განათლების შესახებ, შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ბრძანებები) ფოტო და ვიდეო გალერეას, საკონტაქტო ინფორმაციას. ვებ-გვერდზე რუბრიკაში სიახლეები ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი, რაზეც პასუხისმგებელია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი PR ჯგუფი, რომელიც ამზადებს მასალებს ვებ-გვერდზე განსათავსებლად. (*აღნიშნული ჯგუფის ფუნქციონირება საუკეთესო გამოცდილების მაგალითად არის მოყვანილი.* )

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდი - erqvaniprof.ge

შეფასება:
■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას სსიპ-პროფესიული კოლეჯის ,, ერქვანი“ დირექტორის ბრძანება № 8 „ო“(14.02.2019წ.) დამტკიცებული აქვს „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“, რომელიც 5 მუხლისგან შედგება და მოიცავს: ზოგად დებულებებს; მისიის,ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხილვა, დამტკიცება, მათში ცვლილებების შეტანა და გაზიარებას; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგებას; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი პირების შესახებ ჩანაწერს.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N 57 ,,ო“ 17.07.2018 წ. დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის ,ერქვანი“ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024წ., რომელიც მოიცავს: ზოგად მონაცემებს; სიტუაციის ანალიზს; განვითარების გეგმას მეცხოველეობის სფეროს განვითარების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის საფუძველზე; განვითარების მიმართულებებს. სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემულია მოქმედების გეგმა წლების მიხედვით, განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები, ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2019წ.), რომელიც სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს და ითვალისწინებს ერთი წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოებს და აქტივობებს (34 პუნქტი). ერთწლიანი გეგმა ემსახურება კოლეჯის მიზნების განხორციელებას, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს აქტივობების განხორციელების პერიოდს.

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024წ.), ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2018წ.; 2019წ.) და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. წარმოდგენილი გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული განვითარების (ექვსწლიანი) და სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურა, სადაც წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. კოლეჯის პერსონალი შერჩეულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 თებერვლის N11„ო“ ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ კოლეჯის „ერქვანი“პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესის“ შესაბამისად, რომელიც შედგება 4 მუხლისგან და განსაზღვრავს: ზოგად დებულებებს, დირექცია/ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების და დამხმარე და მოსამსახურე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „ერქვანი“პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესით;
- დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეებით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ ფარგლებში პსდ-ს ჰყავს 8 პერსონალი, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი კვოტა შეადგენს - 12-ს, შესაბამისად, დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ფარგლებში პსდ-ს ჰყავს 10 პერსონალი, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი კვოტა შეადგენს - 14-ს, შესაბამისად, დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაცემები სრულად შეესაბამება მათთვის კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს, *მაგრამ ვინაიდან შესაძლებელია CISCO ავტორიზებულ აკადემიაში ინსტრუქტორის გადამზადების კურსის გავლა, სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიულმა მასწავლებლებმა გაიარონ აღნიშნული კურსი, რათა მათ და მათი მეშვეობით მათ სტუდენტებსაც წვდომა ექნეთ CISCO ავტორიზებულ აკადემიის ელექტრონულ სასწავლო რესურსებზე, რაც უდაოდ აამაღლებს სწავლების ხარისხს.*

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ ფარგლებში პსდ-ს ჰყავს 10 პერსონალი, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი კვოტა შეადგენს - 15-ს, შესაბამისად, დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ვიზიტის დროს გადამოწმებულ იქნა დაწესებულების რეესტრი, რომლის მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 9-ს, ხოლო პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა 31-ს, თანაფარდობა შეადგენს 9/31.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განმახორციელებლ პირების პირადი საქმეებით;
- დაწესებულების რეესტრის მონაცემებით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

*(ქალაქი, წელი)*

ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვინაიდან ახალი მოთხოვნები პროფესიული განათლების მასწავლებლის შესახებ ჯერ-ჯერობით არ არის განსაზღვრული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობენ იგივე მოთხოვნებით, რაც განსაზღვრული იყო (აწ უკვე ძალადაკარგული) „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ"(2007 წ 28 მარტი №4528_Iს), მუხლი121 „პროფესიული განათლების მასწავლებელი" ჩანაწერით. შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებელი, საქართველოს შრომის კოდექსის და კოლეჯის შინაგანაწესის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებით ინიშნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული ჯგუფის სწავლის ხანგრძლივობით და მასთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამჟამად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად პროფესიულ მასწავლებელებს გაფორმებული აქვთ წინასწარი ხელშეკრულებები, საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის შემთხვევაში მათ გაუფორმდებათ შრომითი ხელშეკრულებები.

დასტურდება:

- დირექტორის ბრძანებებით პროფესიული განათლების მასწავლებლების დანიშვნის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები/წინარე ხელშეკრულებებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებლების CV-ით;
- შესაბამის პროფესიაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

*ა) ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ელექტროობა | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში კოდი-0713 | 52 | 67 | ქართული | ამბროლაური, ვაჟაფშაველას ქ.№10 | 9 | 12 |
| 2 | ბუღალტრული აღრიცხვა | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში კოდი-0411 | 99 | 129 | ქართული | ამბროლაური, ვაჟაფშაველას ქ.№10 | | 15 |
| 3 | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში კოდი 0612 | 60 | 75 | ქართული | ამბროლაური, ვაჟაფშაველას ქ.№10 | | 14 |

*ბ) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პრიოფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

| | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი:

1. ვიზიტის დღის წესრიგი;
2. სსიპ - პროფესიული კოლეჯის „ერქვანი“ დირექტორის მიერ სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისადმი მიწერილი წერილი

(ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

21.07.2019

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ჯახაბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*